

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №16
2025 წლის 10 ოქტომბერი

ქ. ნინოწმინდა

„ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 23 დეკემბრის №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 23 დეკემბრის №3 დადგენილებით დამტკიცებულ დანართში (www.matsne.gov.ge, 01/01/2025, 190020020.35.142.016342) და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ვაან აროიანი

დანართი

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი თავი I

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

მუხლი 1. ბიუჯეტის ბალანსი

ბიუჯეტის ბალანსი განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის ფაქტი			2025 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
I. შემოსავლები	17,755.4	22,828.9	15,163.1	7,665.8	27,607.5	21,438.1	6,169.4
გადასახადები	11,383.3	13,238.7	13,238.7		19,400.0	19,400.0	
გრანტები	5,135.6	7,844.0	178.2	7,665.8	7,495.7	1,326.3	6,169.4
სხვა შემოსავლები	1,236.6	1,314.8	1,314.8		711.8	711.8	
II. ხარჯები	8,480.6	9,464.5	9,348.3	116.3	12,980.4	12,880.7	99.7
შრომის ანაზღაურება	2,193.4	2,311.3	2,311.3		2,659.4	2,659.4	
საქონელი და მომსახურება	1,868.0	2,113.5	1,997.2	116.3	2,774.5	2,674.8	99.7



პროცენტი	63.0	53.9	53.9		43.8	43.8	
სუბსიდიები	3,006.0	3,663.3	3,663.3		5,209.2	5,209.2	
გრანტები	102.0	130.0	130.0		126.7	126.7	
სოციალური უზრუნველყოფა	771.8	911.8	911.8		1,502.5	1,502.5	
სხვა ხარჯები	476.4	280.8	280.8		664.3	664.3	
III. საოპერაციო საღდო	9,274.8	13,364.4	5,814.8	7,549.5	14,627.1	8,557.3	6,069.8
IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება	9,207.5	12,674.8	4,982.8	7,692.0	18,920.9	11,617.7	7,303.2
ზრდა	9,275.7	12,739.7	5,047.7	7,692.0	18,950.9	11,647.7	7,303.2
კლება	68.2	64.9	64.9		30.0	30.0	
V. მთლიანი საღდო	67.3	689.6	832.0	-142.5	- 4,293.8	- 3,060.3	-1,233.5
VI. ფინანსური აქტივების ცვლილება	- 11.4	601.8	744.3	-142.5	- 4,735.1	- 3,501.7	-1,233.5
ზრდა							
ვალუტა და დეპოზიტები							
კლება	11.4	-601.8	-744.3	142.5	4,735.1	3,501.7	1,233.5
ვალუტა და დეპოზიტები	11.4	-601.8	-744.3	142.5	4,735.1	3,501.7	1,233.5
VII. ვალდებულებების ცვლილება	-78.9	- 87.8	- 87.8	-	-441.3	-441.3	
კლება	78.7	87.8	87.8	-	441.3	441.3	
საშინაო	78.7	87.8	87.8	-	441.3	441.3	
სესხები	78.7	87.8	87.8		441.3	441.3	
სხვა კრედიტორული დავალიანებები							
VIII. ბალანსი	0,0	0,0	0,0	0.0	0.0	0.0	

მუხლი 2. ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის ფაქტი			2025 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები



შემოსულობები	17,823.6	22,893.8	15,228.0	7,665.8	27,637.5	21,468.1	6,169.4
შემოსავლები	17,755.4	22,828.9	15,163.1	7,665.8	27,607.5	21,438.1	6,169.4
არაფინანსური აქტივების კლება	68.2	64.9	64.9	-	30.0	30.0	
გადასახდელები	17,835.0	22,292.0	14,483.7	7,808.3	32,014.6	24,611.7	7,402.9
ხარჯები	8,480.6	9,464.5	9,348.3	116.3	13,280.4	13,180.7	99.7
არაფინანსური აქტივების ზრდა	9,275.7	12,739.7	5,047.7	7,692.0	18,292.9	10,989.7	7,303.2
ვალდებულებების კლება	78.7	87.8	87.8	-	441.3	441.3	
ნაშთის ცვლილება	- 11.4	601.8	744.3	- 142.5	- 4,377.1	- 3,143.7	- 1,233.5

მუხლი 3. ბიუჯეტის შემოსავლები

ბიუჯეტის შემოსავლები განისაზღვროს 27,607.5 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის ფაქტი			2025 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
შემოსავლები	17,755.4	22,828.9	15,163.1	7,665.8	27,607.5	21,438.1	6,169.4
გადასახადები	11,383.3	13,670.1	13,670.1	-	19,400.0	19,400.0	
გრანტები	5,135.6	7,844.0	178.2	7,665.8	7,495.7	1,326.3	6,169.4
სხვა შემოსავლები	1,236.6	1,314.8	1,314.8		711.8	711.8	

მუხლი 4. ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები

ბიუჯეტის გადასახადები განისაზღვროს 19,400.0 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის ფაქტი			2025 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
გადასახადები	11,383.3	13,670.1	13,670.1	-	19,400.0	19,400.0	-
საშემოსავლო გადასახადი	-	-	-		-		
დამატებითი ღირებულების გადასახადი	7,011.7	9,042.6	9,042.6	-	15,000.0	15,000.0	-



ქონების გადასახადი	4,371.5	4,627.5	4,627.5	-	4,400.0	4,400.0	-
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	3,512.9	3,758.7	3,758.7	-	3,600.0	3,600.0	-
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	3.7	-			-	-	
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	-	0.1	0.1		-		
სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	465.7	454.7	454.7	-	400.0	400.0	-
არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	389.2	414.1	414.1	-	400.0	400.0	-

მუხლი 5. ბიუჯეტის გრანტები

ბიუჯეტის გრანტები განისაზღვროს 7,495.7 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა
გრანტები	5,135.559	7,844.0	7,495.7
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები			
გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან	5,135.6	7,844.0	7,495.7
გათანაბრებითი ტრანსფერი		-	
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	250.0	178.2	1,326.3
კაპიტალური ტრანსფერი		100.0	
ფონდის გამოყოფილი ტრანსფერი, მათ შორის :	4,885.6	7,565.8	6,169.4
რეგიონების განსახორციელებელი პროექტების ფონდი	3,996.3	7,121.8	5,425.4
მაღალმთიანი დასახლების განვითარების ფონდი	445.3		300.0
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	444.0	444.0	444.0

მუხლი 6. ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

ბიუჯეტის სხვა შემოსავლები განისაზღვროს 711.8 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა
სხვა შემოსავლები	1,236.563	1,314.8	711.8
შემოსავლები საკუთრებიდან	740.7	850.3	380.0



პროცენტი	356.2	332.7	200.0
რენტა	384.5	517.6	180.0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	186.6	116.8	103.0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	177.6	106.7	95.0
სანებართვო მოსაკრებელი	50.3	12.0	15.0
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	10.0		
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი			
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	117.4	94.8	80.0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	9.0	10.1	8.0
სანქციები (ჯარიმები და საურავები)	303.5	300.6	228.8
ნებაყოფილობითი ტრანსფერები, გრანტების გარდა	5.8	47.1	
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები			

მუხლი 7. ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციით
 ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვროს 12,980.4 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის ფაქტი			2025 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
ხარჯები	8,480.6	9,464.5	9,348.3	116.3	12,980.4	12,880.7	99.7
შრომის ანაზღაურება	2,193.4	2,311.3	2,311.3		2,659.4	2,659.4	
საქონელი და მომსახურება	1,868.0	2,113.5	1,997.2	116.3	2,774.5	2,674.8	99.7
პროცენტები	63.0	53.9	53.9		43.8	43.8	
სუბსიდიები	3,006.0	3,663.3	3,663.3		5,209.2	5,209.2	
გრანტები	102.0	130.0	130.0		126.7	126.7	
სოციალური უზრუნველყოფა	771.8	911.8	911.8		1,502.5	1,502.5	
სხვა ხარჯები	476.4	280.8	280.8		664.3	664.3	

მუხლი 8. ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება



ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 18,920.9 ათასი ლარით. მათ შორის, არაფინანსური აქტივების ზრდა 18,950.9 ათასი ლარით, ხოლო არაფინანსური აქტივების კლება 30.0 ათასი ლარით:

ათას ლარში

პროგ. კოდი	არაფინანსური აქტივების ზრდა პროგრამების მიხედვით	2023 წლის ფაქტი	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	534.5	490.7	176.5
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	534.5	490.7	176.5
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	8,721.4	12,110.1	17,600.6
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	5,740.5	8,135.0	10,291.0
02 02	წყლის სისტემების განვითარება	1,019.3	1,391.8	2,107.1
02 03	გარე განათება	-	574.9	
02 04	მშენებლობა, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია	444.5		
02 06	კეთილმოწყობის ღონისძიებები	1,066.9	1,419.8	4,310.2
02 07	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები	398.2	470.5	639.0
02 08	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპორტო მომსახურების შესყიდვა	52.1	118.1	253.3
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	5.3	4.3	0.7
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	4.2	4.3	
03 02	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება	1.1		0.7
04 00	განათლება	6.100	132.2	1,161.5
04 03	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა			1,143.5
04 04	ნინოწმინდის საბავშვო ბაღების გაერთიანება	6.1	132.2	18.0
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	8.4	1.8	11.6
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	-	-	4.0
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	8.4	1.8	7.6
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა		0.7	
06 01	ჯანმრთელობის დაცვა		0.7	
	სულ არაფინანსური აქტივების ზრდა	9,275.7	12,739.7	18,950.9



დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	68.2	64.9	30.0
ძირითადი აქტივები	43.6	43.3	20.0
არაწარმოებული აქტივები	24.6	21.5	10.0
მიწა	24.6	21.5	10.0

მუხლი 9. ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია
განისაზღვროს ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში შემდეგი რედაქციით:

ფ უნქციონალური კოდი	დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა
7.1	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	4,357.9	4,763.5	5,865.5
7.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	4,216.3	4,621.9	5,380.4
7.1.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	4,216.3	4,597.9	5,080.4
7.1.1.2	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	-	24.0	300.0
7.1.6	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	141.6	141.6	485.1
7.2	თავდაცვა	131.8	-	-
7.2.2	სამოქალაქო თავდაცვა	131.8	-	-
7.4	ეკონომიკური საქმიანობა	6,234.4	8,890.1	11,241.4
7.4.5	ტრანსპორტი	6,234.4	8,890.1	11,241.4
7.4.5.1	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	5,836.2	8,419.5	10,602.4
7.4.5.5	მილსადენები და სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებები	398.2	470.5	639.0
7.5	გარემოს დაცვა	455.5	501.1	631.0
7.5.1	ნარჩენების შეგროვება გადამუშავება და განადგურება	455.5	501.1	631.0
7.6	საზიანო კომუნალური მეურნეობა	3,163.7	3,854.5	7,255.4
7.6.1	ბინათმშენებლობა	683.9		120.0



7.6 2	კომუნალური მეურნეობის განვითარება	-		
7.6 3	წყალმომარაგება	1,019.3	1,391.8	2,107.1
7.6 4	გარე განათება	329.6	906.9	443.4
7.6 6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო კომუნალურ მეურნეობაში	1,131.0	1,555.8	4,584.9
7.7	ჯანმრთელობის დაცვა	159.2	170.8	215.9
7.7 4	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	159.2	170.8	215.9
7.8	დასვენება, კულტურა და რელიგია	1,178.0	1,335.2	1,667.7
7.8 1	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	459.4	498.1	596.0
7.8 2	მომსახურება კულტურის სფეროში	641.5	725.8	955.4
7.8 4	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	77.0	111.3	116.3
7.9	განათლება	1,383.8	1,892.9	4,028.2
7.9 1	სკოლამდელი აღზრდა	1,383.8	1,892.9	2,884.7
7.9 2	ზოგადი განათლება	-	-	1,143.5
7 10	სოციალური დაცვა	770.7	885.1	1,467.5
7 10 1	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვა	13.2	11.4	20.0
7 10 2	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	-	-	-
7 10 4	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	100.0	80.0	130.0
7 10 7	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	-	-	-
7 10 9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	657.5	793.7	1,317.5
	სულ	17,835.0	22,292.0	32,372.6

მუხლი 10. ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო

ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვროს - 4,293.8 ათასი ლარით, ხოლო საოპერაციო სალდო 14,627.1 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა
საოპერაციო სალდო	9,274.8	13,364.4	14,627.1
მთლიანი სალდო	67.3	689.6	-4,293.8



მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება
ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს - 4,735.1 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა
ფინანსური აქტივების ცვლილება	- 11.4	- 4,191.4	-4,735.1
ზრდა	-	-	
ვალუტა და დეპოზიტი	-	-	
კლება	11.4	4,191.4	4,735.1
ვალუტა და დეპოზიტი	11.4	4,191.4	4,735.1

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება
ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება განისაზღვროს -441.3 ათასი ლარით.

თავი II

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები, პროგრამები, ქვეპროგრამები
მუხლი 13. ინფრასტრუქტურის განვითარება

ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 18,496.9 ათასი ლარი. ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2025 წლის გეგმა
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	18,496.9
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	10,602.4
02 01 01	გზების მშენებლობის , რეკონსტრუქციის მოვლა -შენახვის ხარჯი	10,500.5
02 01 02	ხიდების რეაბილიტაცია	40.5
02 01 03	ქ. ნინოწმინდის შუქნიშნების და ტრაფარეტების დამონტაჟება	10.0
02 01 04	ქ. ნინოწმინდის რადარების მანტაჟი	51.4
02 02	წყლის სისტემების განვითარება	2,107.1
02 02 01	საკანალიზაციო სისტემების მოწყობა-რეაბილიტაციის ღონისძიებები	37.0
02 02 02	სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია	2,070.1
02 03	გარე განათება	443.4
02 03 01	გარე განათების რეაბილიტაცია	300.0
02 03 02	გარე განათების ექსპლუატაცია	143.4
02 04	მშენებლობა, ავარიული ობექტების და შენობების რეაბილიტაცია	120.0



02 04 01	მრავალსართულიანი საცხოვრებელი შენობის და სახურავების რეაბილიტაცია	120.0
02 04 02	ადმინისტრაციული შენობების რეაბილიტაცია და კეთილმოწყობა	-
02 06	კეთილმოწყობის ღონისძიებები	4,331.6
02 06 01	რიტუალების სახლების, კულტურული ობიექტების რეაბილიტაცია და სპორტული დარბაზის მშენებლობა	4,311.2
02 06 02	ქ. ნინოწმინდის ტროტუარების კეთილმოწყობა	-
02 06 03	სამოქალაქო ბიუჯეტი	20.4
02 07	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები	639.0
02 08	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპორტო მომსახურების შესყიდვა	253.3

ქვეპროგრამის დასახელება		კოდი	გზების მშენებლობის , რეკონსტრუქციის მოვლა -შენახვის ხარჯი	დაფინანსება ათას ლარში
		02 01 01		10,500.5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური		
	• ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის მიზანია საგზაო ინფრასტრუქტურის გამართული ფუნქციონირება, ტრანსპორტის და მოსახლეობის შეუფერხებელი გადაადგილება. თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საგზაო ინფრასტრუქტურის შექმნა. - პროექტით გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის გზების რეაბილიტაცია, გზების მოვლა-შენახვისა და ზამთრის პერიოდში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მნიშვნელობის მქონე გზების თოვლისგან გაწმენდის სამუშაოები: - სოფელ ეშტიის შიდა გზების მოასფალტება - სოფელ თორიის შიდა გზების მოასფალტება - სოფელი ყაურმის შიდა გზების მოასფალტება - სოფელ გორელოვკის შიდა გზების მოასფალტება ქ. ნინოწმინდის პუშკინის ქუჩაზე მდებარე ეზოების (№1 და №2) სარეაბილიტაციო სამუშაოები - ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში სოფელ განძაში შიდა საუბნო გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები - ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფ. ფოკაში შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია - სოფელ ყულალისში მიმავალი საავტომობილო გზის მოასფალტება (ბეტონის ქარხნიდან სოფლის გზაჯვარედინამდე) - ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში სოფელ დიდი არაქალის შიდა გზების მოასფალტება - ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში სოფელ პატარა არაქალის შიდა გზების მოასფალტება - ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფ. დიდი ხანჩალში შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია - სოფ. ოროჯალარის გზის მოასფალტება (ოროჯალარის გზა N2 - ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფ. დილიფში შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია - ცენტრალური ტრასა – ტამბოვკა გზის მოასფალტება - ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფ. ფოკა- ვლადიმეროვკის გზის მოასფალტება - ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ მამწვარაში შიდა გზის მოასფალტების სამუშაოები - საექსპერტიზო მომსახურება - ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელი როდიონოვკის შიდა გზების რეაბილიტაცია		
მოსალოდნელი შედეგი		მგზავრთა შეუფერხებელი, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება. მუნიციპალიტეტის საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.		
		კოდი		დაფინანსება ათას ლარში



ქვეპროგრამის დასახელება	ხიდების რეაბილიტაცია	
	02 01 02	40.5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური	
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული ხიდების მშენებლობა – რეაბილიტაცია, რათა უფრო კომფორტული, უსაფრთხო და შეუფერხებელი გახდეს გადაადგილება. • ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფ. სპასოვკაში და დიდი გონდრიო-პატარა გონდრიოს გზის დამაკავშირებელი ხიდების სარეაბილიტაციო სამუშაოები	
მოსალოდნელი შედეგი	სტანდარტებთან შესაბამისობაში არსებული ხიდის უზრუნველყოფა.	

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ქ. ნინოწმინდის შუქნიშნების და ტრაფარეტების დამონტაჟება	დაფინანსება ათას ლარში
	02 01 03		10.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსაფრთხო გარემოს შექმნა , ქალაქში შეუფერხებელი მგზავრობისა და გადაადგილების უზრუნველყოფა. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ქალაქის ადგილობრივი გზების დამონტაჟება შუქნიშნებით -შუქნიშნების შეძენა და ახალი შუქნიშნების მონტაჟი. -საგზაო ნიშნების შეძენა და მონტაჟი.		
მოსალოდნელი შედეგი	სტანდარტებთან შესაბამისობაში არსებული გზების უზრუნველყოფა. მოსახლეობის მხრიდან საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის შემცირებული ფაქტები.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ქ. ნინოწმინდის რადარების მანტაჟი	დაფინანსება ათას ლარში
	02 01 04		51.4
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსაფრთხო გარემოს შექმნა , ქალაქში შეუფერხებელი მგზავრობის და გადაადგილების უზრუნველყოფა. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ქალაქის ადგილობრივი გზების ვიდეომეთვალყურეობის კამერების მანტაჟი, სარკეების შეძენა და მონტაჟი. - გზების ვიდეომეთვალყურეობის კამერების შეკეთება -ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეო სამეთვალყურეო სისტემის ტექნიკური შეკეთებისა და მონტაჟის სამუშაოები		
მოსალოდნელი შედეგი	სტანდარტებთან შესაბამისობაში არსებული გზების უზრუნველყოფა.		



ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საკანალიზაციო სისტემების მოწყობა-რეაბილიტაციის ღონისძიებები	დაფინანსება ათას ლარში
	02 02 01		37.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება უშუალოდ ქალაქ ნინოწმინდის საკანალიზაციო სისტემის მიწოდების ხელშეწყობა, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება საკანალიზაციო სისტემის ექსპლუატაციაზე გახარჯული ღირებულების გადახდა. • ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფ. დიდ გონდურის საბავშვო ბაღში საკანალიზაციო სისტემის მოწყობის სამუშაოები • ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფ. დიდ არაქალის საბავშვო ბაღში საკანალიზაციო სისტემის მოწყობის სამუშაოები		
მოსალოდნელი შედეგი	ხარისხიანი საკანალიზაციო სისტემით უზრუნველყოფილი მუნიციპალიტეტის მოსახლეობა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია	დაფინანსება ათას ლარში
	02 02 02		2,070.1
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მოსახლეობისათვის წყლის მიწოდების ხელშეწყობა • სოფელ სათხის წყალსადენი სისტემის მშენებლობა • საექსპერტიზო მომსახურება		
მოსალოდნელი შედეგი	ხარისხიანი წყლით უზრუნველყოფილი მუნიციპალიტეტის მოსახლეობა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათების რეაბილიტაცია	დაფინანსება ათას ლარში
	02 03 01		300.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მერიის და ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების სისტემის შექმნა და ღამის საათებში მუნიციპალიტეტის ქუჩების და საზოგადოებრივი სივრცეების განათება. პროგრამა ასევე მოიცავს გარე განათების ქსელის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურებას. ქ. ნინოწმინდაში და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფლებში გარე განათების მოწყობა.		
მოსალოდნელი შედეგი	განათებული ტერიტორია.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათების ექსპლუატაცია	დაფინანსება ათას ლარში
-------------------------	------	-----------------------------	------------------------



	02 03 02	143.4
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის კომუნალური კეთილმოწყობის და დასუფთავების სამსახური	
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის მიზანია პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებების დროულად აღმოფხვრა. მუნიციპალიტეტში გარე განათების ქსელით მოცულია დასახლებული ტერიტორიების 90%. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, რომელიც მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს: - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქსელში მწყობრიდან გამოსული ნათურების გამოცვლა; - ამორტიზებული და დაზიანებული განათების ბოძების შეკეთება, ახლით ჩანაცვლება; - დაზიანებული სადენების აღდგენა, შეკეთება.	
მოსალოდნელი შედეგი	განათებული ტერიტორია	

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მრავალსართულიანი საცხოვრებელი შენობის და სახურავების რეაბილიტაცია	დაფინანსება ათას ლარში
	02 04 01		120.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის მიზანია ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში არსებული მრავალსართულიანი საცხოვრებელი შენობის კარების და სახურავების რეაბილიტაცია. ქ. ნინოწმინდის პუშკინის ქ. #99 მდებარე მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაცია - საექსპერტიზო მომსახურება		
მოსალოდნელი შედეგი	კომფორტით უზრუნველყოფილი საცხოვრებელი ტერიტორია.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	რიტუალების სახლების, კულტურული ობიექტების რეაბილიტაცია და სპორტული დარბაზის მშენებლობა	დაფინანსება ათას ლარში
	02 06 01		4,311.2
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური		
	ქვეპროგრამის მიზანია დაზიანებული ინფრასტრუქტურის ობიექტების აღდგენა-რეაბილიტაცია, კეთილმოწყობა. მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარებისაკენ მიმართული მრავალმხრივი სამუშაოები, რათა გაუმჯობესდეს არსებული ინფრასტრუქტურა. არსებული რიტუალების სახლების საექსპლუატაციო პირობების შენარჩუნება და გაუმჯობესება. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა • სოფ.ორლოვკის სასაფლაოსთან ინვენტარის შესანახი ნაგებობის მშენებლობა • სოფ დიდი ხანჩალის საბავშვო ბაღის შენობის მშენებლობა • სოფელ ფოკის კულტურის სახლის სარეაბილიტაციო სამუშაოები • სოფელ დილიფის კლუბის რეაბილიტაცია • სოფელ ვლადიმეროვკის კლუბის რეაბილიტაცია • ურნების შეძენა • სოფელ უჩმანის სპორტდარბაზის მშენებლობა • სოფელ თორიის სპორტდარბაზის მშენებლობა • ქ. ნინოწმინდის ცენტრალური ხიდის მიმდინარე ტერიტორიაზე სკვერის მოწყობა • ქ. ნინოწმინდის ნორაშენი უბანში ფანჩატურის მოწყობა • ქ. ნინოწმინდის ჭოჭაშენის უბანში ტრენაჟორების შეძენა და მოწყობა • სოფელ კათნატუს მინი სპორტული მოედანის მშენებლობა • სოფელ ფოკის, მამწვარის, სამების საბავშვო სათამაშო მოედნების კეთილმოწყობა • სოფელ გორელოვკაში ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა		



ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	• სოფელ ჟდანოვის რიტუალების სახლის კეთილმოწყობა • ქალაქ ნინოწმინდაში სპორტული კომპლექსის სამშენებლო სამუშაოები • ა(ა)იპ ნინოწმინდის ვაჰან ტერიანის სახლ-მუზეუმში სამფაზიანი ელ. ენერგიის გაყვანა • ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელი რადიონოვკისა და სოფელი ჟდანოვის საბავშვო საბავშვო ბაღებში სამფაზიანი ელექტროენერგიის გაყვანა და სადენების შეცვლა • ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ სათხაში საბავშვო ბაღის მშენებლობა • სოფ. ფოკაში მონოლითური რკ/ბეტონის სეპტიკის მოწყობა და სოფ. ემტიაში მინი სპორტული მოედნის მოწყობა • ქ. ნინოწმინდის #1 სასაფლაოს დამხმარე შენობის რეაბილიტაციის და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ ყაურმის რიტუალების სახლის გალესვის სამუშაოები • სოფელ პატარა ხანჩალში მინი სპორტული მოედნის სამშენებლო სამუშაოები • ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ განძაში საბავშვო მოედნის კეთილმოწყობა • საექსპერტიზო მომსახურება • ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში პარკებისა და საბავშვო მოედნების რეაბილიტაცია • სოფელ ვლადიმეროვკაში საბავშვო მოედნის მშენებლობა • ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნინოწმინდის, საქართველოსა და ევროკავშირის დროშების დაყენება • ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ კათნატუში მდებარე კლუბის შენობის გაუმჯობესების ქსელის დამატებითი წერტილის მოწყობა • ქ. ნინოწმინდის პუშკინის ქუჩაზე საბავშვო მოედნის მშენებლობა • სოფელი სათხის საბავშვო ბაღში 30 კვტ სამფაზიანი ელექტროენერგიის გაყვანა • ქ. ნინოწმინდის ცენტრალური ხიდის მიმდინარე ტერიტორიაზე სკვერის ელექტროენერგიის გაყვანა • ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფ. დილიფში რიტუალების სახლის რეაბილიტაცია • ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ სადამოში სამფაზიანი ელექტროენერგიის გაყვანა და მრიცხველის დაყენება • ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელი სათხის სკვერისთვის სამფაზიანი ელექტროენერგიის გაყვანა და მრიცხველის დაყენება 10 კვტ. • დროშების შეძენა • სოფელ განძაში ტერიანის პოეზიის დღესასწაულის აღსანიშნავად სცენის კეთილმოწყობა • ქ. ნინოწმინდაში კ. მარქსის ქუჩაზე, გორელოვკაში, ორლოვკაში საბავშვო სათამაშო მოედნების შეძენა-მონტაჟი და კეთილმოწყობა • ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ს. ჯიგრაშენის საბავშვო მოედნის ტერიტორიის კეთილმოწყობა • ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ს. რადიონოვკის საბავშვო ბაღის ტერიტორიის კეთილმოწყობა • ქ. ნინოწმინდის სომხეთის ქუჩის მიმდებარედ საბავშვო მოედნის კეთილმოწყობა • ქ. ნინოწმინდაში ერევნის ქუჩაზე მდებარე საბავშვო ბაღის ტერიტორიის კეთილმოწყობა ხარჯვითი • ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფ. ფოკაში, სოფ. სპასოვკასა და სოფ. სათხაში ნარჩენების გაწმენდა • ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელი ფოკაში რიტუალების სახლის კანალიზაციის გაწმენდა • ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდ არაქალში სეპტიკის მოწყობა
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სამოქალაქო ბიუჯეტი	დაფინანსება ათას ლარში
	02 06 03		20.4
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	სამოქალაქო ბიუჯეტი არის პირდაპირი დემოკრატიის მექანიზმი, რომელიც ქმნის შესაძლებლობას მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ფორმირებისას გათვალისწინებულ იქნას საზოგადოებრივი ინტერესები. ქვეპროგრამის მიზანია ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის გაზრდა და ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში მათი ჩართულობის ხელშეწყობა. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი სამუშაოები ქ. ნინოწმინდის ხოჯაბეკის უბანში საცურაო აუზის მოწყობა		
მოსალოდნელი შედეგი	უზრუნველყოფილია მოსახლეობის ჩართულობა ადგილობრივი საბიუჯეტო პროცესში.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები	დაფინანსება ათას ლარში
-------------------------	------	---	------------------------



	02 07	639.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური	
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის მიზანია სოფლის მოსახლეობის სოციალ ეკონომიკური დონის ამაღლება. • სოფელი ტამბოვკა – სპორტდარბაზის რეაბილიტაცია • სოფელი რადიონოვკა – სასაფლაოს შემოღობვა • სოფელი რადიონოვკა – შიდა გზების მოხრეშვა • სოფელი რადიონოვკა – სპორტდარბაზის რეაბილიტაცია • სოფელი ფოკა – შიდა გზების და ძველი ხიდის რეაბილიტაცია • სოფელი ფოკა – მინი სპორტმოედნის რეაბილიტაცია • სოფელი ფოკა – პირუტყვის სასმელი წყლის ლოკაციის გაწმენდა • სოფელი ვლადიმეროვკა – შიდა გზების მოხრეშვა • სოფელი განძა – ახალი სასაფლაოს შემოღობვა და სასაფლაოსთან ინვენტარის შესანახი ნაგებობის მშენებლობა • სოფელი საღამო – შიდა გზების მოხრეშვა • სოფელი სამება – სასმელი წყლის სისტემის მოწყობა • სოფელი ჟდანოვკან – სპორტდარბაზის მშენებლობა • სოფელი ეფრემოვკა – მინი სტადიონის მშენებლობა (4 ეტაპი) • სოფელი გორელოვკა – სპორტდარბაზის რეაბილიტაცია და ინვენტარის შეძენა • სოფელი გორელოვკა – დამბის მშენებლობა • სოფელი ორლოვკა – შიდა გზების მოხრეშვა • სოფელი სპასოვკა – პირუტყვის სასმელი წყლის სისტემის მოწყობა • სოფელი დილიფი – სანიაღვრე არხების მოწყობა • სოფელი დიდი გონდრიო – სასაფლაოს შემოღობვა • სოფელი პატარა გონდრიო – პირუტყვის სასმელი წყლის სისტემის მოწყობა • სოფელი პატარა გონდრიო – სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია • სოფელი ყულალისი – პირუტყვის სასმელი წყლის სისტემის მოწყობა • სოფელი მამწვარა – შიდა გზების მოხრეშვა • სოფელი თორია – საბავშვო მოედნის კეთილმოწყობა • სოფელი უჩმანა – საბავშვო მოედნის მოწყობა • სოფელი ეშტია – სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია • სოფელი ეშტია – სასაფლაოს კეთილმოწყობა (წინაფრის მოწყობა) • სოფელი ეშტია – სპორტდარბაზის სახურავის რეაბილიტაცია • სოფელი ყაურმა – სპორტდარბაზის გათბობის სისტემის მოწყობა • სოფელი პატარა ხორენია – სპორტდარბაზის საპირფარეშოს მშენებლობა – რეაბილიტაცია • სოფელი პატარა ხორენია – შიდა გზების მოხრეშვა • სოფელი ჯიგრაშენი – გარე განათება • სოფელი ჯიგრაშენი – სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია (320მ) • სოფელი პატარა ხანჩალი – საბავშვო მოედნის ატრაქციონების შეძენა და მონტაჟი • სოფელი დიდი ხანჩალი – სპორტდარბაზის რეაბილიტაცია • სოფელი დიდი ხანჩალი – შიდა გზების და ხიდების რეაბილიტაცია • სოფელი კათნატუ – სანიაღვრე არხების მოწყობა • სოფელი პატარა არაქალი – სატუმბო სადგურის წყლის ტუმბოს შეძენა (55კვტ) • სოფელი პატარა არაქალი – სასმელი წყლის სათავე ნაგებობების შემოღობვა • სოფელი დიდი არაქალი – სკვერის კეთილმოწყობა • სოფელი დიდი არაქალი – სასაფლაოს კეთილმოწყობა • სოფელი სათხა – ხიდის რეაბილიტაცია და გზისპირა გასამაგრებელი (საყრდენი) კედლის მოწყობა • სოფელი ოროჯალარი – სკოლის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა	
მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება	

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპორტო მომსახურების შესყიდვა	დაფინანსება ათას ლარში
	02 08		253.3
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელი პროექტებისათვის დროულად და კვალიფიციურად მოხდეს საპროექტო- სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა. ასევე , პროექტების განხორციელებისას ჩატარებული სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფა მათზე მუდმივი ზედამხედველობის განხორციელების გზით. ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა. ამასთან, იმ ხელშეკრულებებზე რომელთა ღირებულება არ აღემატება 50.0 ათას ლარს პროექტის შემდგენი ახორციელებს შესრულებული სამუშაოების ექსპერტიზას. ამ		



	პროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება 50.0 ლარზე მეტი თანხის ინფრასტრუქტურული პროექტების ტექნიკური ზედამხედველობის (საექსპერტო მომსახურების) სამუშაოების შესყიდვა.
მოსალოდნელი შედეგი	შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტების მაღალი ხარისხი. ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი სამშენებლო ნორმების (სტანდარტების) შესაბამისი მაღალხარისხიანი ინფრასტრუქტურული პროექტები.

მუხლი 14. დასუფთავება და გარემოს დაცვა

დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 631.0 ათასი ლარი. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარემოს დასუფთავება და ნარჩენების გატანა, მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება, კაპიტალური დაზანდებები დასუფთავების სფეროში, უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები და მდინარეზე ნაგვის დამჭერის მოწყობა. დაფინანსდება აღნიშნულთან დაკავშირებული ხარჯები, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება, ნარჩენების გატანა, მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა. შესაბამისად ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქის სანიტარული წესრიგის შენარჩუნება და გაუმჯობესება; ნარჩენების სრული იზოლირება მოსახლეობისა და გარემოსაგან; მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა; ქალაქის ტერიტორიის კეთილმოწყობითი და გამწვანებითი სამუშაოები. ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების დარგვა, სკვერებში ბალახის გათიბვა ქალაქისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მაწანწალა ძაღლების თავშესაფარში გადაყვანა.

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2025 წლის გეგმა
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	631.0
03 01	დასუფთავების ღონისძიებები	591.0
03 02	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება	40.0

პროგრამის დასახელება	კოდი	დასუფთავების ღონისძიებები	დაფინანსება ათას ლარში
	03 01		591.0
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის კომუნალური კეთილმოწყობის და დასუფთავების სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის მიზანია საზოგადოებისათვის ეკოლოგიურად სუფთა , კომფორტული და უსაფრთხო გარემოს შექმნა. ახორციელებს ქალაქისა და მუნიციპალიტეტში შემავალ ადმინისტრაციული ერთეულებიდან ნაგვის ნარჩენების მოგროვებას და გატანას, რომელსაც ემსახურება 4 ერთეული ნაგვის გამტანი ავტომობილი. სამუშაოები ხორციელდება მუნიციპალიტეტის შემდეგ სოფლებში: სათხა,დიდი არაქალი,პატარა არაქალი,ოროჯალარი, განძა, ფოგა,ტამბოვკა რადიონოვკა ,ვლადიმეროვკა ,დიდი კონდრიო, პატარა გონდრიო, დილიფი,ყულალის,მამწვარა, ყაურმა,ემტია, თორია, უჩმანა,დიდი ხანჩალი,პატარა ხანჩალი, კატნატუ, გორელოვკა,სპასოვკა,ეფრემოვკა ჟდანოვკან , ორლოვკა,სამება,ჯიგრაშენი და პატარა ხორენია. შეგროვებული ნარჩენები გადის ჯიგრაშენის ნაგავსაყრელზე. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ყოველდღიურად გადის 50 მ/კუბ ნარჩენი. პროგრამისთვის გამოყოფილ ასიგნებები ასევე მოიცავს ა(ა)იპ - ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის ადმინისტრაციულ ხარჯებს, მათ შორის, ხელშეკრულებით აყვანილ პერსონალის (მეზოოვები, მძღოლები, ზედამხედველები და სხვა) ხელფასებს. ზამთრის პერიოდში ქალაქის ტროტუარების თოვლისგან გასუფთავება.		



მოსალოდნელი შედეგი	დასუფთავებული ქუჩები და საზოგადოებრივი სივრცეები მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.
--------------------	---

პროგრამის დასახელება	კოდი	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება	დაფინანსება ათას ლარში
	03 02		40.0
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის კომუნალური კეთილმოწყობის და დასუფთავების სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში განხორციელდება როგორც ერთწლიანი , ასევე მრავალწლიანი ნარგავებისა და ყვავილების შესყიდვა, რომლებიც შემდგომ ირგვება ქალაქის სკვერებში, პარკებში, გაზონებზე და სხვა. საჭიროების შემთხვევაში წლის განმავლობაში ხდება ახალი და არსებული ნარგავების მოვლა-პატრონობა, მორწყვა, შხამ ქიმიკატების შეტანა, ნიადაგის გაფხვიერება, ხდება ხეების შეთეთრება ჩამქრალი კირით. განხორციელდება ქალაქისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერებისა და გზის ნაპირის გაცელვითი სამუშაოები.		
მოსალოდნელი შედეგი	გალამაზებული და გამწვანებული მუნიციპალიტეტი.		

მუხლი 15. განათლება

განათლების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 4,028,2 ათასი ლარი. განათლების პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2025 წლის გეგმა
04 00	განათლება	4,028,2
04 03	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია/მშენებლობა	1,143,5
04 04	ნინოწმინდის საბავშვო ბაღების გაერთიანება	2,884.7

პროგრამის დასახელება	კოდი	ნინოწმინდის საბავშვო ბაღების გაერთიანება	დაფინანსება ათას ლარში
	04 04		2,884.7
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ნინოწმინდის საბავშვო ბაღების გაერთიანება		
	საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა, რომელიც მუნიციპალიტეტის საკუთარ (ექსკლუზიურ) უფლებამოსილებას წარმოადგენს. ასევე, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსების გამოყოფა და ყველა სხვა ღონისძიებებს გატარება. პროგრამის მიზანია ბაგა-ბაღებში სრულფასოვანი საადმზრდელო გარემოს შექმნა, სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვა , მატერიალურ -ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, ძირითადი აქტივების მიმდინარე შეკეთება და მოვლა -შენახვა, ბაგა-ბაღებში დასაქმებული პერსონალისთვის შესაბამისი სამუშაო პირობების შექმნა.		



პროგრამის აღწერა და მიზანი	ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები სააღმზრდელო პროცესის წარმართვისათვის უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი პირობებით, მათ შორის: სააღმზრდელო დაწესებულებებში დაცული იქნება სახელმწიფოს მიერ დადგენილი სტანდარტების უმეტესობა, დაცული იქნება სანიტარული და ჰიგიენური, კვების ორგანიზებისა და კვების რაციონის ნორმები; სააღმზრდელო დაწესებულებებში და ა(ა)იპ - ნინოწმინდის საბავშვო ბაღების გაერთიანება დასაქმებული ადმინისტრაციული და სააღმზრდელო პერსონალი უზრუნველყოფილი იქნება სამუშაო პირობებით. მუნიციპალიტეტში არსებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მომსახურებით წლის გამავლობაში სარგებლებს მუნიციპალიტეტში მცხოვრები 885 შესაბამისი ასაკის ბავშვი, რაც მუნიციპალიტეტში მცხოვრები ამ ასაკის ბავშვების 80 %-ს შეადგენს. 2024 წლიდან გარდა ქ.ნინოწმინდის საბავშვო ბაღებისა, სამჯერადი კვებით უზრუნველყოფილია ასევე ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის 10 სოფლის საბავშვო ბაღი.	
	• ნინოწმინდის საბავშვო ბაღების გაერთიანების 2026 წლის ავტორიზაციის გავლისათვის ყველა ბაღის საგანმანათლებლო რესურსებითა და სათამაშოებით სრულად უზრუნველყოფის მიზნით ტენდერის გამოცხადება.	
	მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტში მცხოვრები სკოლამდელი ასაკის ბავშვების განათლების დონის ამაღლება და მოსახლეობის დასაქმების ხელშეწყობა. სკოლამდელი ასაკის ბავშვების სკოლისთვის მზაობა.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	დაფინანსება ათას ლარებში
	04 03		1,143.5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ამ პროექტით გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის სკოლების რეაბილიტაცია. • ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ ყულალისის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია • ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ ოროჯალარის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია • ნინოწმინდის #4 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია		
მოსალოდნელი შედეგი	სკოლები შეესაბამება არსებულ სტანდარტებს.		

მუხლი 16. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 1,667.7 ათასი ლარი. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:



პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2025 წლის გეგმა
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	1,667.7
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	596.0
05 01 01	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	596.0
05 01 01 01	სპორტული ღონისძიებების დაფინანსება	172.0
05 01 01 02	ა(ა)იპ სკოლისგარეშე საგანმანათლებლო დაწესებულება ნინოწმინდის კომპლექსური სასპორტო სკოლა	424.0
05 02	კულტურის ობიექტების დაფინანსება	780.5
05 02 01	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა	780.5
05 02 01 01	ა (ა) იპ — ნინოწმინდის კულტურის ცენტრი	191.5
05 02 01 02	ა (ა) იპ — ნინოწმინდის მთავარი ბიბლიოთეკა	121.3
05 02 01 03	ა (ა) იპ — ნინოწმინდის სკოლისგარეშე აღზრდის დაწესებულება	80.7
05 02 01 04	ა (ა) იპ — ნინოწმინდის სამუსიკო სკოლა	250.0
05 02 01 05	ა (ა) იპ — ნინოწმინდის ვაჰან ტერიანის სახელე-მუზეუმი	49.2
05 02 01 06	ა (ა) იპ — ნინოწმინდის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი	40.0
05 02 01 07	ა (ა) იპ — ნინოწმინდის მუნიციპალური გაზეთი „არშალის“	47.8
05 03	ტელე-რადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	80.0
05 04	ტრადიციული და კალენდარული დღესასწაულების ღონისძიებები	63.0
05 05	საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა	16.0
05 06	გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა	15.9
05 07	რელიგია	116.3

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული ღონისძიებების დაფინანსება	დაფინანსება ათას ლარებში
	05 01 01 01		172.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის მიზანია ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებების და აქტივობების ორგანიზება, მასში მონაწილე სპორტსმენებისა და ახალგაზრდების დაჯილდოება, წახალისება ფულადი და ფასიანი საჩუქრებით; სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებზე სპორტსმენებისა და მწვრთნელების ტრანსპორტირებაში დახმარება. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩატარდება სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები, მათ შორის: ჭიდაობა, ფეხბურთი, კარატე, მაგიდის ჩოგბურთი, ფრენბურთი,თხილამური,მასობრივი ღონისძიება, სასკოლო სპორტული ოლიმპიადი, ბილიარდი, ჭადრაკი, 7X7 ფეხბურთის ჩემპიონატის “MASTER LEAGUE”, კიგბოქსი.		



	• მინი ფეხბურთის ჩემპიონატის „ჯანსაღი ცხოვრების წესი ნარკომანიის წინააღმდეგ“ პროექტის ფარგლებში ჩემპიონატის მაღალ დონეზე ორგანიზების მიზნით ფინანსური დახმარება • „ქართული ლიგა“ იუმორის რეგიონალურ ჩემპიონატში მონაწილეობისათვის დაფინანსება
მოსალოდნელი შედეგი	მოსწავლეთა აქტიური ჩართულობა სპორტულ ღონისძიებებში. სპორტსმენთა წახალისება და დაჯილდოება.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ — სკოლისგარეშე საგანმანათლებლო დაწესებულება ნინოწმინდის კომპლექსური სასპორტო სკოლა	დაფინანსება ათას ლარებში
	05 01 01 02		424.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის მიზანია სპორტის სხვადასხვასახეობების განვითარება, მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმა და მათთვის საწვრთნელი პირობების შექმნა, მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით.პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები მათ შორის:ჭიდაობა, ჭადრაკი, ფეხბურთი, ფუტსალი, კარატე, მ. ჩოგბურთი, კრივი, სათხილამური, კიგბოქსი .		
მოსალოდნელი შედეგი	ჯანსაღი სპორტული წესით დაინტერესებული მოსახლეობა. სპორტსმენთა წახალისება და დაჯილდოება.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა (ა) იპ — ნინოწმინდის კულტურის ცენტრი	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 01		191.5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მერიის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის კულტურული ღონისძიებებით დაინტერესება, მოსწავლე ახალგაზრდობის თავისუფალი დროის სწორად ორგანიზება და ტრადიციებისა და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება და განვითარება. კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა. ქვეპროგრამა ითვალისწინებს: ა (ა) იპ „კულტურის ცენტრის“ მიერ ორგანიზებული ღონისძიებების დაფინანსებას, პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები.		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის მოსახლეობის , განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობის დაინტერესება და ჩართულობის ზრდა კულტურის სფეროში. კულტურულ ღონისძიებებში ჩართული მოსახლეობა		

	კოდი	დაფინანსება
--	------	-------------



ქვეპროგრამის დასახელება		ა (ა) იპ – ნინოწმინდის მთავარი ბიბლიოთეკა	ათას ლარში
	05 02 01 02		121.3
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მერიის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის მიზანია მოსახლეობის მოთხოვნების ინტერესების შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე მათი მომსახურებისათვის სათანადო პირობების შექმნა, ქალაქის და სოფლის ბიბლიოთეკების ხელშეწყობა; წიგნადი ფონდის შევსება თანამედროვე ლიტერატურით და დაკომპლექტება ყველა ასაკობრივი კატეგორიის მიხედვით, ითვისების წინაშე კულტურული ობიექტების მოძიებას.		
მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება, ჩართულობისა და ინტერესების ზრდა საბიბლიოთეკო წიგნების ფონდის განახლების გზით.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა (ა) იპ — ნინოწმინდის სკოლისგარეშე აღზრდის დაწესებულება	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 03		80.7
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მერიის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის კულტურული ღონისძიებებით დაინტერესება, მოსწავლე ახალგაზრდობის თავისუფალი დროის სწორად ორგანიზება. ქალაქ ნინოწმინდის სკოლისგარეშე აღზრდის დაწესებულებაში ფუნქციონირებს სხვადასხვა წრე, მათ შორის სამხატვრო, ქარგვის, ქსოვის, კერვის და სხვა.		
მოსალოდნელი შედეგი	კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა. კულტურული მემკვიდრეობის შენახუნება და განვითარება. კულტურულ ღონისძიებებში ჩართული მოსახლეობის რაოდენობა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა (ა) იპ – ნინოწმინდის სამუსიკო სკოლა	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 04		250.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მერიის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
	მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის კულტურული ღონისძიებებით დაინტერესება, მოსწავლეთა		



ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	თავისუფალი დროის სწორად ორგანიზება, მუსიკალური კუთხით განვითარება.
მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება მუსიკალური სკოლა, სადაც სწავლობს 144 მოსწავლე. პროგრამის მიზანია მისცეს მოსწავლეებს დაწყებითი სამუსიკო განათლება. მუსიკის სფეროს განვითარების ხელშეწყობა. კულტურული მემკვიდრეობის შენაჩუნება და განვითარება. მუსიკალური ღონისძიებებში ჩართული მოსახლეობის რაოდენობა.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა (ა) იპ — ნინოწმინდის ვაჰან ტერიანის სახელე-მუზეუმი	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 05		49.2
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მერიის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა. კულტურული მემკვიდრეობის შენაჩუნება და განვითარება. მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის კულტურული ღონისძიებებით დაინტერესება. პროგრამის ფარგლებში ფინანსდება სოფელ განძის ვაჰან ტერიანის სახელობის მუზეუმი. -ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფ. განძის ვაჰან ტერიანის სახლ მუზეუმის საპირფარეშოს რეაბილიტაცია		
მოსალოდნელი შედეგი	კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა. კულტურული მემკვიდრეობის შენაჩუნება და განვითარება. კულტურულ ღონისძიებაში ჩართული მოსახლეობის რაოდენობა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა (ა) იპ – ნინოწმინდის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 06		40.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მერიის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის კულტურული ღონისძიებებით დაინტერესება. ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ქ. ნინოწმინდაში ფუნქციონირებს „მხარეთმცოდნეობის მუზეუმი“. პროგრამის ფარგლებში ფინანსდება თანამშრომელთა ანაზღაურება.		
მოსალოდნელი შედეგი	კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა. კულტურული მემკვიდრეობის შენაჩუნება და განვითარება. კულტურულ ღონისძიებაში ჩართული მოსახლეობის რაოდენობა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა (ა) იბ — ნინოწმინდის მუნიციპალური გაზეთი არშალუის	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 07		47.8



ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	წინოწმინდის მუნიციპალიტეტის მერიის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სრულყოფილი, ობიექტური და ზუსტი ინფორმაციის მოწოდება/ უზრუნველყოფა. რეგიონში, ქვეყანაში, მუნიციპალიტეტში პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ, საგანმანათლებლო-კულტურულ და სხვა სფეროში მიმდინარე მოვლენების ინფორმირება. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის გაშუქება, მოსახლეობისთვის პრობლემატურ/ მწვავე ხასიათის საკითხების წამოწევა. ხელი შეუწყონ კულტურული ფასეულობების შესახებ ინფორმაციის გადაცემასა და შენარჩუნებას, საზოგადოებისათვის მისაწვდომი გახდეს ღირსეული მოქალაქეების შესახებ მასალების საშუალებით.
მოსალოდნელი შედეგი	ახალგაზრდა შემოქმედთა აღმოჩენა და წახალისება. სომხურ - ქართული მეგობრების ხელშეწყობა და განმტკიცება.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ტელე-რადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	დაფინანსება ათას ლარში
	05 03		80.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	წინოწმინდის მუნიციპალიტეტის მერიის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის პროგრამით განხორციელდება განცხადებებისა და ინფორმაციის გამოქვეყნება პრესაში, ტელევიზიასა და ინტერნეტ პორტალებში, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობისათვის ინფორმაციის მიწოდებას. დაფინანსდება სატელევიზიო გადაცემა . პროგრამის ფარგლებში ფინანსდება პრესა და ადგილობრივი ტელევიზია, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობის ცნობიერებას.		
მოსალოდნელი შედეგი	ინფორმაციის სფეროს განვითარების ხელშეწყობა. საინფორმაციო პროგრამებში ჩართული მოსახლეობის რაოდენობა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ტრადიციული და კალენდარული დღესაწაულების ღონისძიებები	დაფინანსება ათას ლარში
	05 04		63.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	წინოწმინდის მუნიციპალიტეტის მერიის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის კულტურული ღონისძიებებით დაინტერესება.		
	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება სხვადასხვა ღონისძიებების ორგანიზება და სადღესასწაულო ღონისძიებების მოწყობა, მათ შორის: • სომხური ნამცხვარი "ქადის" ფესტივალი • "ძალა ერთობაშია" - საზეიმო ღონისძიებები, მიმდევნილი საქართველოს გაერთიანების დღისადმი(საზეიმო სვლა ქ. წინოწმინდა, ჰაიოს-ქართლოს პარკის მემორიალთან, ყვავილებით და გვირგვინებით შემკობა, თემატური კონცერტი) • დედა ენის - ქართული ენის დღე • სვლა სომეხი ხალხის გენოციდის მსხვერპლთა ძეგლთან , ყვავილებით და გვირგვინებით შემკობა		

და მიზანი	• საზეიმო სვლა მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა ძეგლთან ქალაქის პარკში, ყვავილებისა და გვირგვინების შემკობა • მუზეუმის საერთაშორისო დღე • ღონისძიებები მძღვნილი საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი • ღონისძიება ობოლ არასრულწლოვან ბავშვებთან ერთად • ვ. ტერიანის პოეზიის ტრადიციული დღეები ს. განძაში • ვიკტორ ჰოვსეფიანის პოეზიის დღე სოფ. ჰუმტიაში • " ნინოწმინდაობა" (ქალაქის საზეიმო გაფორმება, სხვადასხვა გამოფენების ორგანიზება, კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებში აქტიურ მონაწილეთა დაჯილდოება, საპატიო სტუმრების გამასპინძლება) • შეხვედრა მშობლების გარეშე ბავშვებისა და შშმ ოირების მონაწილეობით • შეხვედრა სკოლის მასწავლებლებთან ერთად • სომხეთში მიწისძვრის შედეგად მსხვერპლთა ხსოვნისადმი ყვავილების დადგმა ქ. ნინოწმინდის სურბ სარგის ეკლესიის ტერიტორიაში არსებულ მემორიალთან
მოსალოდნელი შედეგი	კულტურისა და სპორტის სფეროს განვითარების ხელშეწყობა და განვითარება. კულტურულ, სპორტულ ღონისძიებაში ჩართული მოსახლეობის რაოდენობა.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	05 05		16.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მერიის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
